საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რისკებზე მზადყოფნისა და რეაგირების სამმართველო

მიზანი

ორგანიზაციული მზადყოფნისა და შესაბამისი რეაგირების უზრუნველყოფით, საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის მაქსიმალური შემცირება.

ფუნქციები:

- ✓ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის განსაკუთრებული შემთხვევის დროს დკსჯეც-ს მზადყოფნის, რეაგირების და შეფასების კოორდინაცია მოვლენამდე, მოვლენის დროს და მოვლენის შემდეგ;
- ✓ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრის (EOC)კოორდინაცია;
- ✓ მზადყოფნისა და რეაგირების გეგმების შემუშავება;
- ✓ ჯანმრთელობის საერთაშორისო წესების (IHR) და გლობალური ჯანმრთელობის უსაფრთხოების (GHS) იმპლემენტაცია;
- ✓ რეაგირების გაუმჯობესების მიზნით ტრენინგებისა და სავარჯიშოების ჩატარება;

საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრი (EOC)

საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრი წარმოადგენს კოორდინაციისა და ინფორმაციის გაცვლის ცენტრალურ სტრუქტურას.

ფუნქციები:

- ✓ რისკის შეფასება და ანალიზი;
- ✓ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გადაუდებელი ოპერაციების აქტივაცია;
- ✓ ინციდენტზე რეაგირების სტრატეგიის შემუშვება;
- ✓ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რეაგირების მართვა და შენარჩუნება;
- ✓ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საგანგებო ოპერაციების დემობილიზაცია და შეფასება.

* საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრის მოდელი რეაგირების ფაზაში



ჯანმრთელობის საერთაშორისო წესები (IHR)

დკსჯეც განსაზღვრულია, როგორც IHR ეროვნული კოორდინატორი საქართველოში. მისი მოვალეობაა დაუყოვნებლივ შეატყობინოს WHO-ს საკონტაქტო პუნქტს უჩვეულო/მოულოდნელი, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის და საერთაშორისო გავრცელების რისკის შემცველი, ასევე საერთაშორისო მგზავრობისა და ვაჭრობის შეზღუდვის რისკის შემცველი მოვლენის შესახებ.



2012 წელს, WHO-ს შეფასებით, საქართველო შევიდა იმ ქვეყანათა რიცხვში, რომლებიც სრულიად აკმაყოფილებენ IHR-ის ძირითად მოთხოვნებს.

გლობალური ჯანმრთელობის უსაფრთხოების ინიციატივა (GHSA)

GHSA წარმოადგენს საერთაშორისო თანამშრომლობას ინფექციურ დაავადებათა საფრთხეებისგან დაცული მსოფლიოსათვის. საქართველო აქტიურად უჭერს მხარს აღნიშნულ ინიციატივას მისი წარდგენის დღიდან (2014წ.).

GHSA მოიცავს 11 სამოქმედო პაკეტს, არჩეული ლიდერი და მხარდამჭერი ქვეყნებით:

პრევენცია

1. ანტიმიკრობული რეზისტენტობა;
2. ზოონოზური დაავადებები – მხარდამჭერია საქართველო;
3. ბიოუსაფრთხოება და ბიოდაცვა;
4. იმუნიზაცია.

გამოვლენა

1. ეროვნული ლაბორატორიის სისტემა – მხარდამჭერია საქართველო;
2. რეალურ დროში ეპიდზედამხედველობა – ლიდერობს საქართველო;
3. ანგარიშგება;
4. სამუშაო ძალის განვითარება.

რეაგირება

1. გადაუდებელ სიტუაციებზე რეაგირების ცენტრი;
2. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაკავშირება; საკანონმდებლო უწყებებთან;
3. სამედიცინო ღონისძიებები და პერსონალი.

საქართველო იყო პირველი ქვეყანა რომელმაც მონაწილეობა მიიღო პილოტურ შეფასებაში, რის შედეგადაც შეიქმნა 5 წლიან სამუშაო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა იმ დაგეგმილი აქტივობის თავმოყრას, რომლის განხორციელებაც იგეგმება GHSA-ის ფარგლებში 2016 წლიდან 2019 წლამდე.